№ 70 12 თიბათვე, კვირა 1866–1877 12 თიბათვე, კვირა № 70

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ზანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე სამშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: წვრილ ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

უმორჩილესად ვთხოვთ ყველა ჩვენ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ სრულად არ შემოუტანიათ, გამოგზავნონ რედაქციაში.

ვინც ივნისის განმავალობაში მთელი წლის ფულს არ წარმოადგენს, 1 ივლისიდამ გაზეთი აღარ გაეგზავნება.

ამ თხოვნას ვუმეორებთ აგრეთვე იმ ჩვენს აგენტებსაც, რომელთაც რედაქციასთან თავიანთ ხელის-მომწერლების ანგარიში ჯერ კიდევ გასწორებული არა აქვთ.

ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

რომელიც პირველი ივნისიდამ ყოველ დღე გამოდის, შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში, ზანოვის ქუჩაზე, ნ. ამატუნის სახლებში.

ფასი გაზეთისა ამ 1 ივნისიდამ მომავალი წლის 1 იანვრამდე—5 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ტელეგრამმები

ს.-პეტერბურღი, 10 ივნისს. „მმართებლობის მოამბეში“ გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება ფინანსთ მინისტრისადმი, რომლის ძალითაც ამ მინისტრმა უნდა მოახდინოს ჯეროვანი განკარგულება ორასი მილიონი 5% შინაგანი სესხის აღების თაობაზე, რომელსაც ერქმევა სახელად „აღმოსავლეთის სესხი 1877 წლისა.“ ობლიგაციები იქნება ხუთ, ათ და ას თუმნიანები; ვალი გადაიხდება 49 წლის განმავალობაში.

ლონდონი, 9 (21) ივნისს. ინდოეთის მინისტრი მარკიზ სალსბჲური სთხოვს პალატას 5 მილიონის გირვანქა სტერლინგის კრედიტს იმ ხარჯის შესამსუბუქებლად, რომელიც ინდოეთის გამგეობას მოუვიდა ამ ქვეყანაში შიმშილისა და სავაჭრო საქმეების დაბრკოლების გამო.

პარიჟი 10 (22) ივნისს. დღევანდელს სხდომაში საფრანგეთის სენატმა თანხმობა გამოაცხადა რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებაზე, რომ ნაციონალური კრება დათხოვნილი იქმნეს. ამ პრეზიდენტის წინადადების სასარგებლოდ 150 სენატორმა მისცა ხმა და წინააღმდეგ 130-მა.

ლონდონი, 10 (22) ივნისს. საზოგადოებათა პალატამ ნება დართო ინდოეთის სამინისტროს 5 მილიონის გირვანქა სტერლინგის ვალად აღება.

ომის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

ოსმალოს ფლოტის უფროსი ინგლისელი გობარტ-ფაშა, როგორც უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, ისევ შავ ზღვაში დაბრუნებულა.

—

პარიჟის „ჰავასის აგენტობა“ გვაცნობებს, რომ რუსებმა მიატოვეს ოლთისი, და მუხთარ-ფაშა, თავის ჯარით, ამ ჟამად ზევინში არის გამაგრებულიო.

ამავე აგენტობის გაზეთში სოხუმიდამ იწერებიან, რომ ოსმალოს მმართებლობის განკარგულებით სოხუმის მაზრაში აჯანყებულ აბხაზებისაგან ცალკე ბატალიონები შეადგინესო.

—

ინგლისურს გაზეთს „Standard“-ში დაბეჭდილია შემდეგი კორრესპონდენცია მუხთარ-ფაშის მთავარ ბანაკიდამ ზევინიდამ მიღებული:

„ზევინი სალანლუღის მთებსა და მდ. არაქსის შუა მდებარებს. ოსმალოს ჯარის მდგომარეობა ახლა ბევრად უკეთესია, ვინემ ამის წინაზე იყო. სამი კორპუსი რუსის ჯარისა, რომელნიც არტაანიდამ, ყარსიდამ და ბაიაზეთიდამ მოდიან, გადაუვალი მთებით არიან ერთმანერთისაგან დაშორებული და მუხთარ-ფაშას კი არაქსთან 49 ბატალიონი ჯარი და 30 ზარბაზანი აქვს დამზადებული. კიდეც რომ გაიმარჯვონ აქ სადმე რუსებმა, მთებზე გადასვლა ძალიან გაუჭირდებათ იმათ, რადგან გადასასვლელი ადგილები ოსმალოს ციხეებითა და ჯარით არის დაცული.

„ამ დღეებში დაბრუნდა არზრუმს მუშა-ფაშა ყუნდუხოვის ცხენოსანი ჩერქეზის ჯარის ერთი ნაწილი, რომელიც რუსებთან შეტაკების შემდეგ გადარჩა. არზრუმში მოვიდა აგრეთვე პოლშელების ჯარი.“

—

არზრუმის ღუბერნატორს გამოუცხადებიან ამ ქალაქის მცხოვრებლებისათვის, რომ სადმე ახლო-მახლო, უფრო უშიშარ ადგილებში გადაესახლონ, რადგან შესაძლებელიაო, რომ რუსების ჯარი მოადგეს ჩვენს ქალაქს და გარს შემოერტყესო. ამასთან დიარბეკირისა და სივაზის ვალიებს (უეზდის უფროსებს) წინადადება მიუცია მცხოვრებლებისათვის, რომ მასპინძლობა გაუწიონ არზრუმელებს, რომელნიც თქვენს უეზდებში დროებით გადმოესახლებიანო.

—

ერთი უცხო ქვეყნის გაზეთის კორრესპონდენტი 1 ივნისს იწერება ამ გაზეთში ფოთიდამ:

„ამ ორი კვირის წინათ თითქმის მუდამ დღე ჩნდნენ ზღვაში ოსმალოს ხომალდები და თითო-ოროლა ყუმბარას გვიგზავნიდნენ. ჩვენც პასუხს ვაძლევდით. ახლა აქეთკენ შავს ზღვაში ოსმალოს ხომალდები აღარ ჩანან.

„ფოთი გვარიანად გამაგრებულია; ბევრს ადგილს ნაპირიდამ ჩაყრილია ტორპედები ასე, რომ მტრის ხომალდი ახლოს ვერ მოადგება. ფოთის დამოჯნის საქონელი სულ ქუთაისს გადაიტანეს. ქალაქი სულ დაცარიელებულია, დუქნები დაკეტილი, სახლები უპატრონო. მხოლოთ რამდენიმე როტა სალდათები არიან, რომ ჩერქეზები არ გამოუშვან ზღვიდამ ნაპირზედ.“

—

კავკასიის სამხედრო მაზრის შტაბის უფროსი იწერება შემდეგ დეპეშას პეტერბურღის გაზეთებში:

„3 ივნისს, დილის სამ საათზე, ყარსიდამ გამოვიდა ჩუმათ ოსმალოს ჯარი ჩვენ ჯარის წინააღმდეგ, რომელიც ზეიმანის წინამძღოლობის ქვეშ იყო. ოსმალები შესდგებოდა 10 ბატალიონისაგან და 2 ბატარეისაგან; ამათ დაიჭირეს სოფ. ჩავთლიყის ახლო სიმაღლეები და და-

უწყეს ჩვენ ჯარს სროლა. ღენერალ ზეიმანმა თავის ერევნის და ქართველის პოლკებით სროლითვე გასცა პასუხი, მერე შეატყობინეს კავალერიას, რომელიც დაბანაკებული იყო ყოლანლისთან და რომელიც ჭავჭავაძის წინამძღვრობის ქვეშ იყო. შეიქნა სროლა. ოსმალები ვერ შეუმაგრდნენ და დაიწყეს უკან. შემდეგ დრაგუნის და ყუბანის ცხენოსანმა ჯარმა სულ ერთიან დაარღვიეს ოსმალების ჯარი და გაფანტეს.

„ბრძოლის ველზე ოსმლებისა დარჩა 200 გვამი; ამ გვამებში ბევრი არაბები არიან; ჩვენებში ცოტათ დაჭრილია სევერსკის პოლკის აფიცერი პეტროვსკი; ამას გარდა თერთმეტი სალდათი მოკლულია და 106 დაჭრილი.“

ევროპის ბრძოლის ველიდამ

ბრიუსსელის გაზეთში „Indépendance Belge“-ში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა იმ შეტაკებაზე, რომელიც ჰქონიათ სულინთან რუსეთისა და ოსმალეთის ხომალდებს:

„ექვსი რუსის პატარა ხომალდი მიუახლოვდა ჩუმათ აქ გაჩერებულ ოსმალოს ჯავშნიან ხომალდებს; რუსების განზრახვა იყო, რომ ტორპედების საშუალებით აეფეთქა ოსმალოს ხომალდები. ოსმალებმა შეიტყეს, და ერთი საშინელი სროლა შეიქნა; ოსმალოს არტილერია ჩინებულად მოქმედებდა. თითქმის სამი ხომალდი რუსისა დაჰლუპა ოსმალოს ყუმბარებმა; რაც წყალს გადურჩა, ტყვედ წაიყვანეს.

„ამბობენ, რომ ჰობარტ-ფაშამ რაღაც ახალი საშუალება მოიგონა ტორპედებისაგან ხომალდების დაცვისა და ახლაც ამ საშუალების წყალობით გაიმარჯვეს ოსმალებმაო.

„რუსების ტყვეებს სტამბოლში აგზავნიან.“

—

რუსჩუკიდამ ერთს ნემეცურს გაზეთში იწერებიან, რომ ამ ქალაქის პირ-დაპირ, დუნაის მარცხენა მხარეზე დაბანაკებულ რუსებს დიდ-ძალი ახალი ჯარი მოუვიდაო; 29 მაისს რუსები ღამით გადასულიყვნენ სლოკანის კუნძულზე, გაეკეთებინათ აქ საჩქაროთ მიწის პატარა გორეები და ზარბაზნები გაემართათ. ეს ამბავი მეორე დღეს შეიტყეს ოსმალოებმა და იმ წამსვე დაუწყეს მათ ყუმბარების დაშენა; რუსები იძულებული შექნილან, რომ თავის ზარბაზნები გადაეტანათ ამ ალაგიდამ.

საფიქრებელიაო, იწერება ამ გაზეთის კორრესპონდენტი, რომ, თუ რუსებმა ამ კუნძულზე გამაგრება მოახერხეს, ანუ უკეთ ვსთქვათ, თუ ოსმალოს არტილერიამ აცალა იმათ აქ გამაგრება, მაშინ აქედამ დაუწყებენ რუსჩუკს ზარბაზნების დაშენას და ვინ იცის, იქნება აქედამაც მოინდომონ დუნაიზე გადმოსვლაო.

—

ვენიდამ იწერებიან, რომ იმ გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, რომელიც გაგრძელდა თითქმის ორ დღეს, ხელჩართული ომით ოსმალებმა განდევნეს ჩერნოგორელები კრისტაჩიდამ ბანიანში. ორივ მხრივ ბრძოლის ველზე დარჩა ათასობით გვამები. ოსმალებმა აიღეს შესანიშნავი სიმაგრე შინიცა და თავის ჯარის მთავარი კვარტირა ჩერნოგორიელებმა გადაიტანეს პლანინიციდამ (ნიკშიჩის ახლო) ოსტროგში.

—

პლოეშტში, 5 ივნისს, რუსებმა დაატუსაღეს 20 კაცი, რომელთაც შპიონობას აბრალებდნენ.

საქართველო

დღიური

*** ჩვენს ოფიციალურს გაზეთს „კავკაზში“ გამოცხადებულია ამ 4 ივნისს მაცრას ბანაკში ხელ-მოწერილი უმაღლესი ბრძანება დ. მ. კავკასიის ნამესტნიკისა, რომლის ძალითაც დ. მ. კავკასიის ნამესტნიკის დაბრუნებამდინ ოსმალეთის აზიიდამ, იმის თანამდებობა დროებით მინდობილი აქვს კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეს ღენერალ-ადიუტანტს თ. სვიატოპოლკ-მირსკის.

*** ესვე გაზეთი გვაცნობებს მმართებლობის განკარგულებას, რომ კობში, მლეთში და ყაზბეგში ტელეგრაფის სტანციები დაიხურაო.

*** ამ უკანასკნელ დროს ერთობ გახშირდა ჩვენს ქალაქში წითელა და ყვავილი, ორი ავათმყოფობა, რომელთაც ჩვენში „ბატონებს“ ეძახიან და რომელთაც ქალაქში არა-მცირე რიცხვი მსხვერპლი მოითხოვეს.

აქ მარტო ყმაწვილებს ჰხოცავს ეს ავათმყოფობა; მაგრამ იმერეთიდამ გვწერენ, რომ ჩვენში ბევრი სრულ-წლოვანი, ბევრი შვილის დედა და მამა იმსხვერპლა განსაკუთრებით წითელ-ბატონებმაო. იმერეთში ახალი ლოცვა მოუგონიათ წითელიან ავათმყოფებისათვის; იქნება ვისმეს არ გამოგადგესთ და იმიტომ ვბეჭდავთ ამ ლოცვას:

„სახელისა ღვთისათა, მამისათა, ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ. ესე წიგნი დაგიწერე და მოგეცი მე, მიყვარყვალიტე აზირებულმა შენ (სახელი უნდა სთქვა ავათმყოფისა) ასე, რომ არ შეგეხოს შენ წითელ-ბატონები, ათირმინი, მათირმინი, შათირმინი, მიყვარყვალიტე აზირებული ტყაოსანი, შუბოსანი! წითელო ხატო, შენ უშველე წითელ-ბატონებიანს და სხვ.“

*** ჩვენ მივიღეთ თელავიდამ შემდეგი შენიშვნა:

„იმ ახალგაზდა ქმრიდამ გადაყვანილის სომხის ღვდელს, რომელიც მოხსენებული იყო „დროების“ მე-48 ნომერში, ჰყავდა მიცვალებული და რადგანაც მრევლს იმ ღვდელის მეტი არა ვინა სურს, ამის გამო მიიწვიეს ჭირისუფლებმა ის ღვდელი; მაგრამ ბლაღოჩინმა აუკრძალა იმას მრევლში სიარული. შემდეგ ის ღვდელი მოიწვიეს როგორც გარეშე პირი და იმათი ახალი დანიშნული ღვდელიც მოვიდა როგორც სახლის მოძღვარი, მხოლოდ მოუპატიჟლად. მრევლმა დაითხოვა და გამოუცხადა იმათი მოძღვრობის შეუძლებლობა; ღვდელმა მიმართა ბლაღოჩინს, რომელიც გამოუძღვა და ჩამოიყვანა ეს მოჩივარი ღვდელი და სურდა თავისი ზახი-ზუხით მრევლი შაეშინებინა, მაგრამ მრევლი თავის სიტყვაზედ იდგა და აპირობდა უღვდლოთ დამარხვას.

„თუმცა ეს მიუპატიჟებელი სტუმრები, ბლაღოჩინი და ურიათუბნიდგან ახლათ გადმოყვანილი ღვდელი წინ გაუძღვნენ მიცვალებულს, მაგრამ მრევლმა არა რაიმე წესი არ ალასრულებანა იმათ და საფლავზედ მათეს წაართვეს ქუდა და წასახურავი და დაგაუგზავნეს თავიანთ პირველ ღვდელს, ტერ—კ-ს; აგრეთვე აბრაამის ტაბლა, რომელსაც სომხები „სურფ-სეღანს“ ეძახიან, გაუგზავნეს თავიანთ ღვდელს.

„ამ თვის ორში, როდესაც თელავში ლეკის შამოსვლის ხმა დავარდა, ამბობენ, რომ ბლაღოჩინის, მამა მთავრის და იმათი ნათესაობის სახლობა ეკლესიის ტრაპეზედ მსხდარან გადასარჩენადაო.“

„დროების“ კორრესპონდენცია

რაჭიდამ, (28 მაისს). ზანვილს 1876 წელში, ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს განკარგულებით, შემოღებულ იქმნა ახალი წესდებაები, რომლების ძალით მემამულეთ მიენიჭათ უფლება ბაჟის გარდახდევინებისა გარეშე პირთაგან, მოძოვებისათვის ადგილ-მამულთა.

ამ ახალის კანონის შემოღებით იმოდენად შეიწროებულია მრთელად რაჭის მაზრაში მცხოვრებნი, რომ მიუცილებელი საჭიროა ითქვას ამაზე რამოდენიმე სიტყვა.

ამას წინეთ, მე და ერთს აქაურს პრისტავთაგანს შეგვხვდნენ 15 კაცი, მთიულები ს. ჭიორას მცხოვრებნი, რომელთაც მოჰყავდათ სურსათით დატვირთული ცხენები. ამათ შესჩივლეს პრისტავს, რომ, როდესაც იგინი იყვნენ დამსხდარნი ს. სორს და მათი ცხენები იდგნენ გზის პირად მდებარე სრულიად უნაყოფო პატარა მინდორზე, მათ მიუხტათ აზნაური დ. კიკოშვილი და ძალდატანებით გარდაახდევინა თითო ცხენზე თითო აბაზი, მაშინ, როდესაც, როგორც ამბობენ, ის ადგილი, სადაც ცხე-

ნები იდგნენ, ქიკოშვილის არ არისო.

ამ გვარის შემთხვევაების მოთხრობა რომ ვიწყო, ერთობ გაჭიანურდება ჩემი სტატია; საკმაო იქნება გიანბოთ სხვა უფრო ალმაშფოთებელი გარემოება: ს. ბუგეულს და მისს მახლობად სოფლებში აქვსთ ვენახები მთიულებს. ეს ვენახები ყველა შემოღობილია, მაშასადამე მცველის დაყენება არც საჭირო იყო და არც ყავდათ აქამომდე და ახლა გამოჩნდენ ისეთი კეთილი კაცები, რომელთაც, პირადის სარგებლობისათვის, ჩააგონეს ვენახების პატრონებს, რომ დაეყენებიათ მცველები. ამ ჩამგონებელთავე მიიღეს თავის თავზე მცველობის მოვალეობა და ღმერთმან იცის—რას არ ჩაიდენენ: დილიდამ საღამომდე ვენახების გარეშემო დაიარებიან და ვსთქვათ დაინახეს ვენახის მახლობლად პირუტყვი, ბატი, იხვი და სხვ., ეცდებიან შედგნონ ვენახში და, რასაკვირველია, იმ წამსვე დაიჭერენ და წაიყვანენ თავის სახლში, სადაც ჯერ ძალიან დაამშვენენ და შემდეგ უცხადებენ პატრონს, რომ იმათ ჰყავსთ პირუტყვი მისი. ამის შემტყობი პატრონი მიდის მცველთან და შეისყიდის თავის საქონელს.

ვინ უყურებს გარდაწყვეტილს, ახალის წესდებაებით, ბაჟს! თუ სამი ქათამი გაადფრინდა ვენახში, ან ყანაში, ერთი უნდა დაუტეეოს მცველს, რადგან მოთხოვნილი ბაჟი ქათმის ფასს აღემატება. ამასთანავე, ვენახების კიდეებში, ადგილის მდებარეობის გამო, არიან ცოტ-ცოტად ადგილები ღობის გარეთ დატეებული და რაღა თქმა უნდა, რომ პირუტყვი გზიდამ გადაეწოდება ბალახს; ამ შემთხვევაშიაც ისრე იჭერენ მას და სცარცვენ პატრონს, როგორც ზემოთა ვსთქვი.

საბალახე ადგილი, თუ მივიღებთ მხედველობაში მნიშვნელობა სიტყვისა „საბალახე“, არვის არა აქვს სოფელში. პირუტყვს აძოვებენ იმ ნაყანევზე, სადაც ნიადაგი მიწისა ნაკელით გაუსუქებლად ნამყოფს არ გვაძლევს მუდამ წელს. ამ გვარი ადგილები ერთი მეორეზე აკრავს, ამის გამო იქ, სადაც მეზობლებთა შორის ცოტა უკმაყოფილება მოხდება, როდესაც პირუტყვი ერთის ადგილიდამ მეორე ადგილში გადავა, იგივე ამბები წარმოსდგება ხოლმე, რაც ხდება ყანაში პირუტყვის დაჭერის დროს.

ვაი საბრალო ღარიბს გლეხს, თორემ შეძლებულს ყველა უფრთხილდება.

მე შემხვდა მოგზაურობა სოფლებში მაზრის უფროსს თ. ჩიჯავაძესთან, რომელმანც თავის თვალით დაინახა, რომ რამდენიმე კაცი საპალნიანი ცხენებით ერთს გლეხს ჰყავდა დაჭერილი გზის პირად და აიძულებდა მიეცეს მისთვის ბაჟი. უ. მაზრის უფროსმა განარჩია საჩივარი და დაუყოვნებლივ განათავსუფლა მგზავრები უკანონო მოთხოვნილებისაგან. ამასთანავე იმან დაუწყო განმარტება მათ, ვინც ამ შემთხვევაში იქ იყვნენ, რომ ბაჟის მოთხოვნა მოძოებისათვის შეუძლიან მხოლოდ მას, ვისაც პირუტყვი წაუხდენს გამოსადეგარს ადგილს, რომელიც დაცულია საყანეთ, სათიბად, ბოსტნად, ანუ სხვა რამე აგარაკეულის მცენარისათვის. შემდგომ ამისა აღუთქვა, რომ ის მისცემს ამ საგანზე ადგილობრივ მამასახლისებს მიწერილობას, რომელთაც დაუდგენს მათ მოვალეობად, რომ მოსპონ ზემო-მოყვანილი უწესობა.

ამ გვარის განკარგულების მოხდენა, არა თუ შეუმსუბუქებს ხალხს გაჭირვებას, არამედ სრულიად მოსპობს იმ დრტვინვას, რომელიც ასტეხა შემოყვანამ მოქმედებაში თქმულის კანონისა. უამისოთ შეიძლება ბევრი ბოროტება მოხდეს აქ: რაჭველები, ნამეტურ მთის ხალხი, რომელსაც თავიანთ სოფლებში არ მოსდისთ მოსავალი და ამის გამო იძულებული არიან სხვა და სხვა სოფლებიდამ რაჭისა და შორაპნის უეზდებისა ნამუშევარის შეზიდვაზე, მეტის-მეტად შევიწროებული არიან, რადგან გზაში ცხენის დაბალახებისათვის უბრალო მინდორზე მათ უნდა მოაკლონ იმ ფულს, რაც ნამუშევრის ფასად წაუღიათ სახლიდამ, და ბაჟად მისცენ, ღმერთმან იცის ვის, ადგილის პატრონს, თუ სხვა ვინმეს.

ღუბერნიის მთავრობის ყურადღებას ითხოვს ეს გარემოება.

ძრამაგელი

უცხო ქვეყნები

გერმანია

„აუგსბურგის ბაზეთი“ იწერება, რომ პრუსსის მმართებლობას აღუკრძალავს მთელი რეინის პროვინციებში სახალხო სეირნობა პაპის იუბილეის გამო. ამის მიზეზი, როგორც ამბობენ, ის ყოფილა, რომ რომის პაპს ამ უკანასკნელს დროს თავის სიტყვაში ეხლანდელი გერმანიის იმპერატორი ძველად-ძველს გერმან იის იმპერატორთან ატტილასთან შეუდარებია.

—რადგან ამ უკანასკნელს დროს მმართებლობას ლეოვში სოციალური ჰაზრების გავრცელება შეუნიშნავს, ფიცხელი განკარგულება მოუხდენია, რომ ზოგიერთი მუშების სადგომები და საჭვო რედაქციები გაეჩხრიკათ. სხვათა შორის „სახალხო ბაზეთის“ რედაქტორი დაუტუსაღებიათ.

საფრანგეთი

თუმცა, საფრანგეთის სენატს—ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია ნაციონალურ ძრების დათხოვნა, მაგრამ ყველანი დარწმუნებული არიან, რომ სენატი დასტურს დასცემს მაკ-მაჰონის წანადადებაზე და ხვის უმეტესობით ძრების დათხოვნაზე თავის თანხმობას გამოაცხადებს.

მაშ სამი თვის შემდეგ ახალი ნაციონალური ძრებისათვის დეპუტატების ამორჩევას შეუდგებიან. ამ სამი თვის განმავლობაში, რაღა თქმა უნდა, ახალი სამინისტრო ყოველ ღონის-ძიებას მოიხმარს, რომ ისეთი კაცები დააყენოს მმართებლობის წარმომადგენლებად საფრანგეთის პროვინციებში და ქალაქებში რომელნიც ამ სამინისტროსათვის სასიამოვნო პირების დეპუტატად ამორჩევისა და რესპუბლიკელების დამარცხებისათვის არაფერს არ დაზოგვენ.

ახლავე დაიწყო თავის საქმე სამინისტრომ: თითქმის ყველა პრეფექტები, რომელნიც ფულ-სიმონისაგან დაყენებულნი იყვნენ და რომელთაც რესპუბლიკის და კონსტიტუციის მომხრეებად იცნობენ, გამოსცვალეს და მათ ნაცვლად თავის კაცები დააყენეს.

ამ საშუალებას გარდა, სამინისტროს რჩევით, რესპუბლიკის პრეზიდენტი მაკ-მაჰონი დაივლის საფრანგეთის ზოგიერთ პროვინციებს, ეჩვენება ხალხს და უქადაგებს ყველას თავის „კანონიერებაზე“ და რესპუბლიკის ერთგულებაზე.

თავის მხრით არც რესპუბლიკური პარტია არის გულ-ხელ დაკრეფილი. ამ პარტიის წარმომადგენელმა ბამბეტტამ დაიწყო საფრანგეთში მოგზაურობა იმ განზრახვით, რომ ხალხს ელაპარაკოს ახლანდელს საფრანგეთის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, შეაყვაროს მას რესპუბლიკა, ურჩიოს მას, რომ მომავალ კენჭის-ყრაში რესპუბლიკის მომხრე დეპუტატები აირჩიოს თავის წარმომადგენლებად პალატაში და სხვ.

ამ განზრახვით პირველად გასული მაისის 28-ს, ბამბეტტა ამიენში მისულა. აქ დახვედრია იმას რკინის გზის სტანციაზე ქალაქის გამგეობის თავი (მერი), ბევრი წევრები ქალაქის გამგეობისა, სოფლების (კომუნების) მერები (მამასახლისები). დიდ-ძალი ხალხი ყოფილა მოგროვილი ამას გარდა სტანციაზე, რომელსაც დაუნახავს თუ არა ეს ახლანდელი საფრანგეთის, და იქნება ქვეყნისაც, საუკეთესო ორატორი, ერთხმად დაუყვირიათ: „ბაუმარჯოს რესპუბლიკას! ბაუმარჯოს ბამბეტტას.“ აუარებელი ხალხი მოსდევდა თურმე ბამ-

ბეტტას ფაეტონს რკინის გზის სტანციიდამ უფ. მერის ბობლეს სახლამდინ, სადაც ბამბეტას ღამე უნდა გაეთია.

საღამოს 7 საათზე უფ. ბობლეს სახლში მოპატიჟებული იყო 90 პირი სადილზე. აქ წაიკითხეს ამ დეპარტამენტის რამდენიმე სენატორისა და დეპუტატების წერილები, რომელნიც სწუხდნენ, რომ ამ ბანკეტზე სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო ვერ ვესწრებითო. შუა სადილობაზე წამოდგა მასპინძელი, უფ. ბობლე, და სტაქნით ხელში წარმოსთქვა ბამბეტტას შესხმა, რომელშიაც ამ ბობდა, რომ ამ კაცის კეთილ-გონიერებისა, ჭკუისა და მოხერხების წყალობით რესპუბლიკური პარტია პალატაში და საფრანგეთში შეერთდა და ამ შეერთებამ დაბადა ამ პარტიის ძალაო.

„მე ვსვამ საფრანგეთის საუკეთესო შვილის პატრიოტის ბამბეტტას სადღეგრძელოსო, სთქვა უფ. ბობლემ, იმ ბამბეტტას, რომელიც 1870 წლიდამ მოყოლებული თავგანწირვით იბრძვის საფრანგეთის თავისუფლებისათვის რომელმანც შეგვაერთა და ჩაგვიდგა სული ჩვენ განცალკევებულ რესპუბლიკელებს. მალე ჩვენ კიდევ გვექმნება ამ რესპუბლიკის მტრებთან შეტაკება და ამ შეტაკებაში ყველაზე უფრო ბამბეტტას იმედი უნდა გვქონდეს...“

ამ სიტყვების თანაგრძნობისა და მოწონების ნიშნად სადილად მსხდომთა გაცხარებული ტაშის კვრა შეჰქნეს.

შემდეგ წამოდგა თვითონ ბამბეტა და სთქვა გრძელი, მჭევრმეტყველური სიტყვა, რომლიდამაც ორიოდე ალაგი მოგვყავს:

„ახლანდელი ჩვენი კრიზისული მდგომარეობა დიდ ხანს არ გასწევს; და ამის შედეგი დარწმუნებული იყავით, ჩვენთვის, რესპუბლიკელებისათვის სახიამოვნო იქნება... 363 რესპუბლიკელი დეპუტატი შეადგენენ ამჟამად ნაციონალურ პრების უმრავლესობას; ისინი, მერწმუნეთ, ხელ-ახლად იქნებიან მომავალ პრებაში ამორჩეულნი; ისინი დიცვენ, მხნეთ დაიცვენ კანონსა და საფრანგეთის ინტერესებს; ისინი ასრულებენ ხალხის სურვილს. ახლანდელი უმრავლესობა ნაციონალურ პრებისა ხალხის სინდისისა და ჰაზრის წარმომადგენელია; ამაში დარწმუნდებიან, როცა ხელ-მეორედ ჰკითხვენ ხალხსა კენჭის-ყრით. ამ მეორედ კენჭის-ყრის დროს, საფრანგეთი იმასვე იტყვის რასაც ამ უკანასკნელ ექვსი წლის განმავლობაში მუდამ ამბობდა...

„ჩვენი გამარჯვებისათვის მხოლოთ რესპუბლიკური პარტიის ერთობა, თანხმობა და წინდაზედულობაა საჭირო. და ეს სტაქანიც ახლა იმიტომ მიჭირავს ხელში, რომ ამ რესპუბლიკური პარტიის მუდამ ერთობისათვის შევსვა... მსვამ აგრეთვე სადღეგრძელოს ჩვენი დეპარტამენტის სენატორის ბოლტიე-რუმილჰისა, იმ ბოლტიე-რუმილჰისა, რომელსაც თავის სიცოცხლე თავისუფლების სამსახურში და თავისუფლებისათვის ბრძოლაში გაუტარებია...“

ეს სიტყვა დიდის აღტაცებით მოისმინეს იქ მყოფთა.

მეორე დღეს ბამბეტტა ამიენიდამ ამბ-ბევილში მისულა, სადაც 2,000 კაცის წინ წარმოუთქვამს კიდევ სიტყვა და ხალხს ბევრი უყვირია: „ბაუმარჯოს რესპუბლიკას! ბაუმარჯოს ბამბეტტას! ძირს კლერიკალებიო!“

ნარევი

როგორც უველაფერში უკულმართი ხალხია ამერიკელები, ისე უკულმართი რამეების მოგონება იციან! ჩვენ ხეებითა და ქვითკირით აშენება გვიჭირს სახლებისა და იმთ კი ჯერ რკინის სახლების აშენება დაიწყეს და ახლა აღარც ამას დაჯერებულან: ქალაქის ს. ხლებს აშენებენ თურმე! ამის გამომგონს ცალკე ფაბრიკა გაუმართავს, რომელშიაც მზა-მზარეულად გამოჭკავს თურმე მთელი ოდლები და სახურავები ქალალდისა.

და ისეთი მაგარიც არის ეგ-ეგ-ეგ-